გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №84

2023 წლის 15 მაისი
ქ. გორი

ქალაქ გორში, ცაბაძის ქუჩის მონაკვეთზე ხერხრულიძის ქუჩის მხრიდან, ქუჩის მარჯვენა მხარეს ამკრძალავი საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ქალაქ გორში, გიორგი ცაბაძის და შალვა ხერხეულიძის ქუჩების მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ გორში, ცაბაძის ქუჩის მონაკვეთზე ხერხრულიძის ქუჩის მხრიდან, ქუჩის მარჯვენა მხარეს ავტომობილების გაჩერების აკრძალვა. აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან ერთად, მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, ცაბაძის ქუჩის მონაკვეთზე ხერხრულიძის ქუჩის მხრიდან, ქუჩის მარჯვენა მხარეს განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, ცაბაძის ქუჩის მონაკვეთზე ხერხრულიძის ქუჩის მხრიდან, ქუჩის მარჯვენა მხარეს განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

1. ქალაქ გორში, ცაბაძის ქუჩის მონაკვეთზე ხერხრულიძის ქუჩის მხრიდან, ქუჩის მარჯვენა მხარეს განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**